

6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

საქართველოში საკმაოდ კარგი პირობებია ბიზნესის დასაწყებად, რეგისტრაციის პროცედურები საკმაოდ გამარტივებულია, და ამისათვის ერთი დღეც საკმარისია.

მეორე მხრივ ბიზნეს ოპერატორებზე არც საგადასახადო წნეხია დიდი, რაც დამატებითი პოზიტიური პირობაა, კერძოდ პრესობს 6 გადასახადი (საშემოსავლო, მოგების, დღგ, აქციზი, იმპორტისა და ქონების), რომელთაგან მხოლოდ ქონების გადასახადი ირიცხება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ამ გადასახადის განაკვეთის განსაზღვრა, სათანადო პირობების დაცვით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი/არჩევითი ორგანოს - საკრებულოს მიერ ხდება და არის შესაძლებლობა ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გარკვეული შეღავათების დაწესებისა. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსაკრებლების საკითხი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დღეისათვის მოქმედებს შემდეგი მოსაკრებლები: რეკლამის განთავსების, სათამაშო ბიზნესის, მშენებლობის ნებართვის და დასუფთავების. ბუნებრივია ამ მოსაკრებლების შემცირებაც განვიხილოთ ერთ-ერთ მამოტივირებელ ფაქტორად. მუნიციპალიტეტის მერია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობს ადგილობრივი მეწარმე-სუბიექტების პირობების გასაუმჯობესებლად, დააწესოს გარკვეულის სახის შეღავათები ადგილობრივი ქონების გადასახადის და მოსაკრებლების გადახდის მიმართულებით.

თუმცა ასევე საყურადღებოა, რომ გამართული შეხვედრების დროს ბიზნესმენთა/მეწარმეთა მხრიდან უფრო მეტი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა რეგულაციების გამარტივების /უფლებების მოპოვების შესახებ/ და სხვა ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების საჭიროებას, შედარებით ხშირად დასახელდა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურების, ასევე სახ. საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობა) საკუთრებაში ან იჯარის წესით აღების სირთულე და ხანგრძლივობა.

ასევე აღინიშნა, რომ ზოგიერთი მეწარმე ნაკლებად იცავს აუცილებელ ნორმებისა და სხვადასხვა სრულიად აუცილებელ შეზღუდვებს, რაც აუარესებს როგორც პროდუქციის/მომსახურების ხარისხს, ასევე აკნინებს/დარტყმას აყენეს კეთილსინდისიერ მეწარმეთა და ზოგადად ბიზნესის პრესტიჟს. ამ მიმართულებით კარგი იქნება თუ წარმატებული და კეთილსინდისიერი მეწარმეები დამატებით წახალისდებიან. (გამოიკვეთა წინადადება, რომ შეიქმნას ცალკეული დარგების/სფეროების მიხედვით საუკეთესო „ბრენდების“/„ფირმები“/„პროდუქტების“ გამოვლენის/დასახელებისა და წახალისების სისტემა).

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, არასწორი ეკონომიკური მიდგომების შედეგად რესპუბლიკაში და მათ შორის ზესტაფონშიც მოიშალა არსებული პროფსასწავლებლების ქსელი, სწორედ ამ პროფსასწავლებლებში ხდებოდა ადგილობრივი ეკონომიკის სექტორში დასაქმებული პირების დიდი ნაწილის მომზადება.

ამჟამად არსებობს მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელი, სადაც დაწესებული ფასიანი სწავლების გამო ახალგაზრდები ვერ ახერხებენ სასურველი პროფესიის დაუფლებას.

ამასთან ერთად, ამჟამად ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს არცერთი უმაღლესი სასწავლებლის ფილიალი. უახლოესი უმაღლესი სასწავლებლები განთავსებულია ქალაქ ქუთაისში (მანილი 35კმ). ეს კი სოციალურად დაუცველი და შშმკ -თვის სერიოზული პრობლემაა, რაც საჭიროებს გარკვეულ რეაგირებას.